ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 341

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

სს „ნიუ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405375277) და იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის" (ს/ნ. 205176628) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. 43 (ს/კ. №01.10.13.015.069) დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის №22.1071.1160 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, სს „ნიუ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405375277) და იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის" (ს/ნ. 205176628) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2020 წლის 25 სექტემბრის განკარგულება №20.1119.1405) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2020 წლის 1 ოქტომბრის განკარგულება №273) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. 43 (ს/კ. №01.10.13.015.069) შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს 2022 წლის 5 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განაცხადზე (№22/01221243862-01) თანდართული ესკიზის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე